ბათუმის ტელევიზია და რადიო
საზოგადოებრივი მაუწყებელი
საქართველო, 6010,ბათუმი მემედ აბაშიძის, 41
41, Memed Abashidze av. Batumi, 6010, Georgia
Tel : + 995 422 274370/274382
Fax: + 995 422 274384/274371
info@ajaratv.ge
ajaratv.ge

N 02-09/32
08.04.2024

32--4-202404081648

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სატელევიზიო ეთერისთვის განკუთვნილი ტურისტული ვიდეოარტების შესყიდვის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20[1] მუხლისა და 35[10] მუხლის მე-7 პუნქტის, ,,სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს (შემდეგში - ,,მაუწყებელი“) დებულების მე-8 მუხლის,, ,,სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს მიერ ტელე-, რადიო-, ასევე ვებგვერდისა და სოციალური ქსელისათვის განკუთვნილი პროდუქციის ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის წესი“-ს, სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სატელევიზიო ეთერისთვის განკუთვნილი პროგრამის/პროდუქციის ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის მუდმივმოქმედი კომისიის 2024 წლის 05 აპრილის №02-02/936 სხდომის ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი მაუწყებლის სატელევიზიო ეთერისთვის განკუთვნილი ტურისტული ვიდეოარტების, პირობითი სახელწოდებით ,,იმოგზაურე საქართველოში“, შესყიდვის მიზნით.
2. ტურისტული ვიდეოარტების შესყიდვის მიზნით, გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო პირობები განისაზღვროს შემდეგნაირად:
ა) წარმოდგენილი უნდა იქნას 5 ტურისტული ვიდეოარტი; მზა ვიდეოპროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის სტანდარტებს (თავისუფალი პოლიტიკური და კომერციული ზეგავლენისგან), გამოირჩეოდეს: დინამიურობით, შინაარსის მრავალფეროვნებით, მაღალი ხარისხის ვიზუალით;
ბ) ვიდეოარტებში უნდა აისახოს აჭარის ტურისტული პოტენციალი: ზღვა, მთა, ექსტრიმი, წყალქვეშა გადაღებები, კულტურა, ტრადიცია, ეთნოგრაფია, კულინარია და ქალაქის ტურისტული ადგილები;
გ) ტექნიკური აღჭურვილობა: დრონი და GoPro - კამერა;
დ) ვიდეოარტებს უნდა გასდევდეს ექსკლუზიური ვიდეოსთვის სპეციალურად შექმნილი ან დამზადებული მუსიკა;
ე) ვიდეოს ხანგრძლივობა არანაკლებ 1 წთ. და არაუმეტეს 1,5 წთ;

ვ) ვიდეოს ხარისხი full HD 1920-1080.

3. კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, დაინტერესებული პირი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში იდენტური ან მსგავსი ვიდეოარტების დამზადების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი და ანგარიშფაქტურა);

ბ) ხუთივე ვიდეოარტის სასცენარო გეგმა (სასურველია, ერთი ვიდეოარტის საპილოტე ვერსია).

4. ვიდეოარტების მომზადებისა და ჩაბარების ვადა შეადგენს 2 თვეს, ერთი ვიდეოარტის ღირებულება - 2000 (ორიათასი) ლარი.

5. განცხადების წარმოდგენის ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2024 წლის 15 აპრილი.

6. განცხადებები წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: konkursi@adjaratv.ge.

7. მაუწყებლის ონლაინ მედიის სამსახურს დაევალოს წინამდებარე ბრძანების მაუწყებლის ვებგვერდზე განთავსება.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის №30), მისი მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

ვლადიმერ ტატიშვილი

დირექტორი